

## ვნებითის ზოგი ფორმის მართლწერისათვის

პრეფიქსიანი ვნებითის ფორმების მართლწერასთან დაკავშირებით თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმად ნამყო ძირითადში მრავლობითი რიცხვის შესაბამისად პირისათვის დადგენილია **-ნენ** დაბოლოება<sup>1</sup>. ნორმის დადგენისას გათვალისწინებულია ის გარემოებაც, რომ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ასეთ შემთხვევაში პირველსა და მეორე პირში აღარ იხმარება მრავლობითობის **-ენ** სუფიქსი, რომელიც მესამე პირში უხმოვნოდ რჩებოდა. ეს უხმოვნო **-ნ** და სუბიექტის მრავლობითობის **-ენ** შეადგენს თანამედროვე **-ნენ** დაბოლოებას.

ამგვარად, ნამყო ძირითადის მრავლობით რიცხვში დასახელებული ტიპის ვნებითებისათვის ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმა იყო:

და-ვ-ი/ე-მალ-ენ-ი-თ

და-ი/ე-მალ-ენ-ი-თ

და-ი/ე-მალ-ნ-ეს

თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ნორმაა:

და-ვ-ი/ე-მალ-ე-თ

და-ი/ე-მალ-ე-თ

და-ი/ე-მალ-ნენ

ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ფორმები აქა-იქ ახლაც იჩენს ხოლმე თავს მხატვრული ლიტერატურის ან პრესის ენაში. მაგრამ ისინი თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმის თვალსაზრისით არქაიზმებად ან დიალექტიზმებად წეფასდება.

მაგალითები:

წუხელ განვაშით ავიყარენით და გამოეწიეთ აქეთ („ცისკ.“): თვალები დავხუქეთ და წყალს მივცვენით („ცისკ.“). ჩვენ აქ შევცაკრიბენით იმისათვის, რომ ავრომრეწვის მუშაკებმა, მეცნიერებმა და ჟურნალისტებმა შევიმუშაოთ ერთობლივი პოზიცია... („სოფლ. ცხოვრ.“).

<sup>1</sup> თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, 1970, გვ. 185—187.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმის დარღვევად შეფასდება აგრეთვე ნამყო ძირითადში მრავლობითი რიცხვის მესამე პირის ფორმები პრეფიქსიანი ფნებიტებისა -**ენ** დაბოლოებითა **დაიმაღ-ენ, მიეფარ-ენ, მიეხარ-ენ** და მისთანები ნაცვლად **დაიმაღ-ენ, მიეფარ-ენ, მიეხარ-ენ...** ფორმებისა.

მაგალიტები ნორმის დარღვევისა თანამედროვე პრესის ენიდან: მღე მო გვე გებენ პლატიფილის მოპოვებული ქალებიც და ბაზისავენ გვეშურეთ („საქ. ქალი“)<sup>2</sup>. გონს რომ მოეგენ, კახაბერი შეევედრა ნათიას... („თბილ.“) და სხვ.

-**ენ** დაბოლოება იმთავითვე დამკვიდრდა ნამყო ძირითადში მრავლობითი რიცხვის მესამე პირში უნიშნო და -**დონიანი** ვნებითებისათვისაც<sup>3</sup> (აშენ-დ-ენ, აუშენ-დ-ენ; გათბ-ენ, გაუთბ-ენ...).

1. -**ენ** დაბოლოების ვნებითის ფორმებში დამკვიდრებასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ზოგი ზმნის ფუძის აგებულება და დასაზუსტებელია ასეთ ფორმათა მართლწერის საკითხი. კერძოდ, თუ ზმნის ფუძე -**ნ** თანხმოვანზე ბოლოვდება, თეორიულად მოსალოდნელია ორი **ნ** თანხმოვნის თავმოყრა ნამყო ძირითადს მრავლობითი რიცხვის მესამე პირში -**ენ** დაბოლოების დართვის გამო.

მორფემათა ზღვარზე ერთნაირ თანხმოვანთა თავმოყრა უჩვეულო არ არის ქართულისათვის (გვარდები მმორჩილებს, მმართველი, გგავს, თბილისს, სკამმა, ქარქაშში, კოვზზე, კახეთთან, შენნი, ჩვენნი, მფენნი და მისთ.). მითზე ყუზადლება სპეციალურად მახვილდება სახელმძღვანელოებშიცა და „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონშიც“ (1968 წ.).

ზმნის ფორმებში მორფემათა ზღვარზე ორი **ნ** თანხმოვნის თავმოყრა თეორიულად უფრო მეტ შემთხვევაშია მოსალოდნელი, ვინაიდან ზმნები -**ნ** თანხმოვანზე გათავებული ფუძით, რომელიც ზმნურიც შეიძლება იყოს და სახელურიც, საკმაოდაა ქართულ ენაში.

ძველ ქართულში უფრო მეტი იყო შესაძლებლობა ასეთ ფუძეებთან **ნნ** თანხმოვანთა თავმოყრისა, ვინაიდან სახელობითში დასმული ობიექტის მრავლობითობა აღინიშნებოდა და, მაშასადამე, ეს მოვლენა მოქმედებითი გვარის ზმნებსაც შეეხებოდა.

მოქმედებითი გვარის ზმნებში -**ნ**-ზე გათავებულ ფუძეებთან ნორმით სავალდებულო იყო ორი **ნ**-ს წერა ობიექტის მრავლობითობის ნიშნით: **ქმნ-ნ-ებს, გა-გზავნ-ნ-ებს, და-ი-მო-ნ-ნ-ებს...** (მათი იგინი).

<sup>2</sup> აქაც და ქვემოთაც საილუსტრაციო მასალა დამოწმებულია უკანასკნელი 20 წლის ლიტერატურის მიხედვით.

<sup>3</sup> აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, 1973, გვ. 451—453.

ვნებიანი გვარის ფორმებში კი მრავლობითობის -ნ (<-ენ) სუფიქსი უფუნქციოდ არის დარჩენილი. ალბათ ამით აიხსნება, რომ ძველი ქართულის ზმნურ ფორმებში ნორმის მიხედვით ნნ თანხმოვანთა თეორიულად მოსალოდნელი თავმოყრის შემთხვევაში უმეტესწილად ერთ-ერთი ჩანს მხოლოდ. სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია ასეთი მაგალითები:

ი-ქმნ-ეს < ი-ქმნ-ნ-ეს

შე-მ-ე-ქმნ-ეს < შე-მ-ე-ქმნ-ნ-ეს

ალ-ე-შმნ-ე-ნ < ალ-ე-შმნ-ნ-ე-ნ

გან-ი-დევნ-ეს < გან-ი-დევნ-ნ-ეს

გან-ი-ხრწნ-ე-ნ < გან-ი-ხრწნ-ნ-ე-ნ

აღმო-ე-ცენ-ენ < აღმო-ე-ცენ-ნ-ენ და მისთ.<sup>4</sup>

ივარაუდება, რომ ასეთ სიტუაციაში იკარგვის ან ობიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელი -ნ (<-ენ) სუფიქსი ან ზმნის საყრდენი ფუძის ბოლოკიდური -ნ თანხმოვანი.

რა ვითარებაა ამ მხრივ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში? რაკი -ნენ დაბოლოება სავალდებულოდ არის მიჩნეული, ვნების ფორმები ნამყო ძირითადის III პირის მრავლობითში ნ თანხმოვანზე ფუძეგათავებული ზმნებისათვის ორი ნ თანხმოვნით უნდა იწერებოდეს. მხედველობაში გვაქვს მოველინენ, ჩაეტანენ, მოეფინენ, გაიყინენ, გაიგზავნენ, გარდაიქმნენ და მისთანა ფორმები, რომლებიც ამ ორთოგრაფიული თავისებურების გამო მითითებული უნდა იყოს „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“.

რეკომენდაცია დასახელებულ ფორმათა მართლწერისათვის დაიბეჭდა პრესაში შეკითხვის პასუხად<sup>5</sup>. ამ წერილში ეს შემთხვევა გათანაბრებულია ქართულში მორფმათა ზღვარზე დადასტურებული ორი ერთნაირი თანხმოვნის მართლწერის სხვა შემთხვევებთან.

აქ-იქ, ისიც, მხატვრული ლიტერატურისა და პრესის ენაში გვხვდება ამგვარი ფორმები ორი ნ თანხმოვნით.

მაგალითები:

მერე უკვე გაშუქებულ კაზბეზე წამოიფინენ... შავი ლანდები (რ. ინან). ვერჯვრობით მართლაც არაფერ ჩანდა... მაგრამ მერე ამთეფინენ... ჩვენი სოფელაში (ნ. გელ).

ქართული სალიტერატურო ენის პრაქტიკაში მსგავსი ფორმები ნაკლებად გვხვდება, ხოლო როცა გვხვდება, მაშინაც — ერთი ნ-თი.

<sup>4</sup> ივ. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. II, 1971, გვ. 28—33.

<sup>5</sup> გ. შალამბერიძე, „ნორჩი ლენინელი“, 7. IX. 1986 წ., გვ. 4.

მეურნეობის ბალ-ვენახებსა და ზერებს მოეფინენ მშრომელები („განთ.“ კასპი). ძალები წამოეციდნენ, ბიჰისკენ გაექანენ („ცისკ.“). სამსახურებრივი სიყალბის, უპასუხისმგებლობისა და ზერელობისათვის ისინი მოიხსნენ დავა-ვებული თანამდებობიდან („ახ. კომ.“). ...მომხმარებელთა ზომა-წონაში მოტყუ-ნებისა და სხვა დარღვევებისათვის სამუშაოდან მოიხსნენ უჯარმის სასურსათო შეღავათის გამგე-გამყიდველი, ბოგდანოვის მაღაზიის გამგე-გამყიდველი... („ივრ. განთ.“ — სავ.). წარუმატებელი ტურის შემდეგ გუნდის წევრები მიწვეულ იქნენ გულახდილ საუბარზე („ახ. კომ.“). მონღოლი მწერლები დიდი ინტე-რესით გაეცნენ ამ მხარის ცხოვრებას („ლიტ. საქ.“). და მისთ.

გასათვალისწინებელია რამდენიმე გარემოება, რის გამოც ასეთი ფორმების მრავლობითში ხმარების შესაძლებლობა და სინშირე შე-ზღუდულია:

ა. ინიანი ფორმა თავისი სემანტიკით მხოლოდ უსულო საგნის მოქმედებას აღნიშნავს და, მანასადამე, უსულო სუბიექტის მრავლო-ბითი რიცხვი, ჩვეულებრივად, არ აღინიშნება.

მაგ.: ქვა დაიფშენა — ქვები დაიფშენა (და არა: დაიფშენენ) ზოსტანი გაითოხნა — ზოსტნები გაითოხნა (და არა: გაითოხნენ).

ასეთებივეა: გადა-ი-თარგნნ-ა, და-ი-მყნ-ო, და-ი-ტკეპნ-ა, და-ი-ფხვნ-ა, და-ი-ღრღნ-ა, გა-ი-ძაძვნ-ა, ა-ი-ჭიქყნ-ა, და-ი-ჯიჯგნ-ა და-ი-ჯღაბნ-ა და სხვ.

ბ. ენიანი ზმნა ინვერსიული წყობისაა და მასში არ აღინიშნება სახელობითში დასმული ობიექტური (გრამატიკულად სუბიექტური) პირის რიცხვი.

მაგ.: შეილი შეეძინა — შეილები შეეძინა  
ქალი მოეწონა: — ქალები მოეწონა და მისთ.

გ. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ზოგი ზმნის •-ენ-იანი ვნებითის ორგანული ფორმები აღარ იხმარება და ისინი შეცვლი-ლია აღწერითი ფორმებით:

მაგ.: გამო-ი-ყვან-ენ (= გამოყვანილ იქნენ)  
გადა-ი-ტან-ენ (= გადატანილ იქნენ)  
მო-ი-ძებნ-ენ (= მოძებნილ იქნენ)  
და-ი-კბნ-ენ (= დაკბენილ იქნენ) და მისთ.

როგორც ირკვევა, ნ თანხვანზე ფუძეგათავებული ზმნები ქარ-თულში საკმაოდ აა. მრავლობითში მათი ხმარების სინშირე როგორც არ უნდა იყოს შეზღუდული, მაინც არის შემოხვევები, როცა ისინი აუცილებელია. ამდენად საჭირო ჩანს მათი დრო-კილოთა და რიცხვის ფორმების მართლწერის დაზუსტება-გათვალისწინება.

ნ თანხმოვანზე დაბოლოებული ფუძეები სახელური წარმოშო-ბისაც არის ქართულში და ზმნური წარმოშობისაც. მაგალითად, სა-

ხელური ფუძეებია: დაეკონენ, გაო/ემიჯნენ, დაინიშნენ, გაისაპნენ, გაიხიზნენ (შეეხიზნენ) და მისთ. ნორმით მოსალოდნელია:

კონა — ეკონება — დაეკონ-ნენ  
 - მიჯნა — ი/ემიჯნება — გაო/ემიჯნ-ნენ  
 ნიშან- — ინიშნება — დაინიშნ-ნენ  
 საპონ- — ისაპნება — გაისაპნ-ნენ

ხიზან- — ი/ეხიზნება — გაიხიზნ-ნენ (შეეხიზნ-ნენ) და მისთ.  
 საკმაოდაა შემწერი ფუძეებიც:

გან-ი/ე-ბან-ა ნორმით შრ-ში უნდა იყოს: გან-ი/ე-ბან-ნენ

ე-ბღღვენ-ა  
 გა-ი-ბრტყვენ-ა  
 ა-ი-ბურძგნ-ა  
 წა-ე-ბღღაძუნ-ა  
 გა-ი-ი/ე-გზავნ-ა  
 ა(ღ)-ი/ე-გზან-ო  
 გამო-ე-დევნ-ა  
 მო-ი/ე-ვლინ-ა  
 და-ი/ე-თითხნ-ა  
 და-ი/ე-თხაპნ-ა  
 და-ი/ე-თხუპნ-ა  
 და-ი/ე-კბინ-ა  
 და-ი/ე-კლაკნ-ა  
 და-ი-კოცნ-ა  
 მი-ე-კუთვნ-ა  
 გან-ი/ე-კურნ-ა  
 გა-ი/ე-რყვენ-ა  
 მი-ე-სვენ-ა  
 შე-ე-ტენ-ა  
 გა-ი-ტვრინ-ა  
 მი-ე-ტმასნ-ა  
 მო-/შემო-ი/ე-ფინ-ა  
 შე-/ჩა-ი-ფუთნ-ა  
 მო-ი-ფურტკნ-ა  
 გა-ი-ი/ე-ფურჩქნ-ა  
 და-ე-ფუძნ-ა  
 გა-ი-ფცქვენ-ა  
 გა-ე-ქან-ა  
 შე-/წარმო-ი-ქმნ-ა  
 გარდა-ი/ე-ქმნ-ა

ე-ბღღვენ-ნენ  
 გა-ი-ბრტყვენ-ნენ  
 ა-ი-ბურძგნ-ნენ  
 წა-ე-ბღღაძუნ-ნენ  
 გა-ი-ი/ე-გზავნ-ნენ  
 ა(ღ)-ი/ე-გზან-ნენ  
 გამო-ე-დევნ-ნენ  
 მო-ი/ე-ვლინ-ნენ  
 და-ი/ე-თითხნ-ნენ  
 და-ი/ე-თხაპნ-ნენ  
 და-ი/ე-თხუპნ-ნენ  
 და-ი/ე-კბინ-ნენ  
 და-ი/ე-კლაკნ-ნენ  
 და-ი-კოცნ-ნენ  
 მი-ე-კუთვნ-ნენ  
 გან-ი/ე-კურნ-ნენ  
 გა-ი/ე-რყვენ-ნენ  
 მი-ე-სვენ-ნენ  
 შე-ე-ტენ-ნენ  
 გა-ი-ტვრინ-ნენ  
 მი-ე-ტმასნ-ნენ  
 მო/შემო-ი/ე-ფინ-ნენ  
 შე-/ჩა-ი-ფუთნ-ნენ  
 მო-ი-ფურტკნ-ნენ  
 გა-ი-ი/ე-ფურჩქნ-ნენ  
 და-ე-ფუძნ-ნენ  
 გა-ი-ფცქვენ-ნენ  
 გა-ე-ქან-ნენ  
 შე-/წარმო-ი-ქმნ-ნენ  
 გარდა-ი/ე-ქმნ-ნენ



ი/ე-ქნ-ა  
 გა-ი-ქნ-ა  
 გა-ი-/ე-ყინ-ა  
 შე-ი-შმუშნ-ა  
 მო-ე-ჩევენ-ა  
 და-ი/ე-ჩხაპნ-ა  
 მო-ი-ძებნ-ა  
 გა-ი/ე-წვრთნ-ა  
 მო-ე-წონ-ა  
 ა-ი-წონ-ა  
 შე-ი-ჭმუხნ-ა  
 და-ი-/ე-ჭყან-ა  
 გა-ე-ხახუნ-ა  
 გა-ი-ხედნ-ა  
 გა-ი/ე-ხრწნ-ა  
 გა-ი-ხსნ-ა  
 და-ე-ხსნ-ა

ი/ე-ქნ-ნენ  
 გა-იქნ-ნენ  
 გა-ი-/ე-ყინ-ნენ  
 შე-ი-შმუშნ-ნენ  
 მო-ე-ეჩევენ-ნენ  
 და-ი/ე-ჩხაპნ-ნენ  
 მო-ი-ძებნ-ნენ  
 გა-ი-ე-წვრთნ-ნენ  
 მო-ე-წონ-ნენ  
 ა-ი-წონ-ნენ  
 შე-ი-ჭმუხნ-ნენ  
 და-ი/ე-ჭყან-ნენ  
 გა-ე-ხახუნ-ნენ  
 გა-ი-ხედნ-ნენ  
 გა-ი/ე-ხრწნ-ნენ  
 გა-ი-ხსნ-ნენ  
 და-ე-ხსნ-ნენ  
 და მისათ.

დაახელებულ ზმნებიან ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში სხვადასხვაგვარი ფონეტიკური გარემოცვის გამო ყოველთვის ერთნაირად შესაძლებელი და მოსახერხებელი არ ჩანს -ნენ დაბოლოების წარმოდგენა. კერძოდ, როცა ზმნის ფუძის ბოლოკიდური ნ თანხმოვანი ხმოვნის მომდევნოა, მაშინ უფრო შესაძლებელი ჩანს -ნენ დაბოლოების გამოყენება და, მაშასადამე, ფორმაში ორი ნ თანხმოვნის შენარჩუნება. მაგალითად: გაექან-ნენ, დაიჭყან-ნენ... მიუხვენ-ნენ, შეეტენ-ნენ, მოევლინ-ნენ, დაიკბინ-ნენ, გაიტვრინ-ნენ, მოეფინ-ნენ, გაიყინ-ნენ... დაეკონ-ნენ, აიწონ-ნენ და მისთ.

ხოლო, როცა ზმნის ფუძის ბოლოკიდური ნ თანხმოვანი მოსდევს ერთ ან მეტ თანხმოვანს, მაშინ პრაქტიკულად -ნენ დაბოლოების მაგივრად -ენ დაბოლოებას უნდა ველოდეთ. მაგალითად: გაი/ემიჯნ-ენ, დაინიშნ-ენ, გაიხაპნ-ენ, გაიხიზნ-ენ, ებღღვნ-ენ, დაითითხნ-ენ, გაიწვრთნ-ენ, მიეტმასნ-ენ და მისთანა შემთხვევებში.

ე. წ. „უნიშნო ვნებითის“ ფორმათაგან დნება, ჭკნება, ზმნეზისათვის საკრდენი ფუძეებია თანხმოვანთკომპლექსები დნ და ჭკნ. თანხმოვანთა თავმოყრის გამო ამ შემთხვევაშიც ჩვენთვის საინტერესო ფორმები იქნება: და-დნ-ენ, და-ჭკნ-ენ. ე. ი. აქაც, როგორც ჩანს, -ენ დაბოლოება უნდა მივიჩნიოთ ერთადერთ შესაძლო დაბოლოებად. უნდა ვივარაუდოთ, რომ მსგავს ფორმებში -ნენ დაბოლოების თავკიდური ნ თანხმოვანი კი არ იყარგვის, არამედ ის არც ყოფილა.

თუ ეს დაზუსტება სარწმუნოა, მაშინ სასურველი იქნებოდა ყველა ამგვარი ფორმის მითითება ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში.

II. ალტერნატივის საკითხი დგას ზოგი ფუძემდგომიანი, კერძოდ, ლაბიალურ უ-ზე ფუძეგათავებული ზმნისთვისაც ენიანი ვნებითის ფორმაში: ე-გუ-ებ-ა, ე-პუ-ებ-ა.

ნამყო ძირითადად მიზანმიმართული რიცხვის მესამე პირის ფორმა ამ ზმნებისა ორნაირად იხმარება:

შე-ე-გუ-ენენ, შე-ე-პუ-ენენ (<შე-ე-პოე-ნენ)

ან: შე-ე-გუ-ენ, შე-ე-პუ-ენ.

ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალასა და ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ფონდებში მეორენაირი ფორმები დასტურდება.

მაგალითები:

ამბობენ, რომ იტალიელები შეეგუენ ფოსტის უხეირო მუშაობას („საქ. ქალი“); მშობლებს ეშინიათ, ადრე მიშლიდნენ, ახლა შეეგუენ („ახ. კომ.“); ამ სურათზე აღბეჭდილი არიან ისინი, ვინც სხვებთან ერთად არ შეეპუენ სტოქიოსს („თბილ.“); არ შეეპუენ რძლები („ლიტ. საქ.“); ლტოლვილები არ შეეპუენ დაბრკოლებას („ცისკ.“) და სხვ.

საკითხის გადასაწყვეტად მიზანშეწონილია მორფონოლოგიური ანალოგიების მოყვანა. კერძოდ, ლაბიალურსავე უ-სა და ო-ზე ფუძეგათავებული წასახელარი ზმნების ვნებითებში თანხმოვნითი დსუფიქსის წინ ვ ჩნდება, მაშინ როცა იგი საჭირო არ არის ხმოვნათ დაწყებული თემატური სუფიქსის წინ.

შდრ.:

(მო)ა-ტყუ-ებ-ს	და	(მო)ტყუ-ვ-დებ-ა
(გა)უ-ცრუ-ებ-ს	და	(გა)უ-ცრუ-ვ-დებ-ა
(გა)ა-ფართო-ებ-ს	და	(გა)ფართო-ვ-დებ-ა
(და)ა-ჯილდო-ებ-ს	და	(და)ჯილდო-ვ-დებ-ა
(და)ა-ახლო-ებ-ს	და	(და)ახლო-ვ-დებ-ა
(და-/შე-)ა-ვიწრო-ებ-ს	და	(და-/შე-)ვიწრო-ვ-დებ-ა

და მისთ.

როგორც ჩანს, ლაბიალური ო, უ ხმოვნები სუფიქსური თანხმოვნების წინ ვ-ს იჩენენ, ხოლო ამ უკანასკნელის გაჩენა თავისთავად აწესრიგებს -ნენ/-ენ ალტერნაციის საკითხსაც: -ნენ დაბოლოების დაბრკოლება აღარ ეღობება.

მხედველობაში მოსაღებია -ევ-სუფიქსიანი ზმნების თავისებურებაც ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში:

(შე)ე-ჩე-ევ-ა	შე-ე-ჩე-ი-ა	შე-ე-ჩე-ივ-ნენ
ე-წვ-ევ-ა	ე-წვ-ი-ა	ე-წვ-ივ-ნენ
ე-მთხვ-ევ-ა	ე-მთხვ-ი-ა	ე-მთხვ-ივ-ნენ და მისთ.

მაშასადამე, ეგუება, ეპუება ზმნებისათვის დრო-კალოთა II  
ჯგუფში ვიღებთ ასეთ პარადიგმებს:

ნამყო ძირითადში:

შევიგაუა	შევიგაუე
შევიგაუე	შევიგაუე
შევიგაუა	შევიგაუა
შევიგაუეთ	შევიგაუეთ
შევიგაუეთ	შევიგაუეთ
შევიგაუნენ	შევიგაუნენ

მეორე კავშირებითში:

შევიგალო	შევიგალო
შევიგალო	შევიგალო
შევიგალოს	შევიგალოს
შევიგალოთ	შევიგალოთ
შევიგალოთ	შევიგალოთ
შევიგალონ	შევიგალონ

ამგვარად, ვნებითის ფორმებისათვის ნამყო ძირითადში III სუ-  
ბიექტური პირის მრავლობითის ნიშნად -ნენ სუფიქსია ნორმად მი-  
ღებული, მაგრამ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ცო-  
ცხალ ფორმებზე დაკვირვებით, სახელდობრ, ნ თანხმოვანზე ფუძე-  
გათავებულ ზმნებში თავს იჩენს ამ რთული სუფიქსის გამარტივების  
ტენდენცია, ე. ი. -ენ სუფიქსის ხმარება -ნენ სუფიქსის ადგილას, ამ  
ტენდენციის განხორციელებას შესაძლოა ისიც უწყობდეს ზელს, რომ  
-ნენ დაბლოკების თავიღური -ნ, როგორც ისტორიულად სახელო-  
ბითში დასმული ობიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელი და ამჟა-  
შად მხოლოდ ინერციით შენარჩუნებული, რეალური ვითარებით  
უფელგან არ არის გამართლებული.